# სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი გამსაზღვრელი დარგი

***დალი სილაგაძე***
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატიაში „სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ერთერთი განმსაზღვრელი დარგი“ მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ზოგადი მიმოხილვა, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები. გაანალიზებულია და შეფასებულია მთავრობის პოლიტიკა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ.

სტატიის მიზანია შეაჯამოს 2012-2022 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე მოვლენები, აჩვენოს დარგის განვითარების დინამიკა, როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ჭრილში. რომ 2012-2022 წლებში აგრარული სექტორი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა და ეს რეალურად აისახა ქმედით რეფორმებსა და მხარდამჭერ პროგრამებში. განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური რეფორმები, კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის კანონთა კრებულს, სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა დაიხვეწა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, მნიშვნელოვნად გაზრდილია სექტორული სამინისტროს დაფინანსება, რადიკალურადაა გაზრდილი აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ჯამური ღირებულება და სხვ.

ამის პარალელურად, სექტორისთვის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ფერმერთა/სასოფლო მეურნეობათა მცირემიწიანობა, ნათესი ფართობების მცირე მოსავლიანობა, ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე, განათლებული და კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, რაც ამცირებს ქართული აგროსასურსათო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, ევროკავშირის კანონთა კრებულთან საკანონმდებლო დაახლოების ტემპები არ ემთხვევა მისი იმპლემენტაციისათვის საჭირო ფინანსურ თუ ადამიანური რესურსებს და მნიშვნელოვანი ggამოწვევებია კანონმდებლობის აღსრულების მხრივ.

**საკვანძო სიტყვები:** სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური განვითარება, სოფლის განვითარება, გამოწვევები.

## AGRICULTURE IS ONE OF THE IMPORTANT BRANCHES OF GEORGIAN ECONOMY

**Dali Silagadze**
Akaki Tsereteli State University

**RESUME**

The article “Agriculture is one of the defining sectors of the Georgian economy” provides a general overview of the agricultural sector of Georgia, the main problems and challenges. The government’s policy towards the agricultural sector of Georgia is analyzed and evaluated.

The purpose of the article is to summarize the current events in the agricultural sector of Georgia in 2012-2022, to show the dynamics of the development of the field, both from the legal, economic and institutional point of view. that in 2012-2022 the agricultural sector was designated as a priority direction for the state and this was actually reflected in effective reforms and supporting programs. significant legislative or institutional reforms have been implemented, Legislation has been brought closer to the set of laws of the European Union, the agricultural management system has been improved, there has been an increase in the agricultural sector The real gross domestic product was created, the financing of the sectoral ministry was significantly increased, the total value of the export of agro-food products was radically increased, etc.

At the same time, the sector is still challenged by the small amount of land of farmers/agricultural farms, the low yield of cultivated areas, the low level of technological development, the lack of educated and qualified labor force, which reduces the competitiveness of Georgian agro-food products. In addition, the pace of legislative convergence with the EU body of laws does not match the financial or human resources required for its implementation, and there are significant challenges in terms of legislation enforcement.

**Key words:** agriculture, economic development, rural development, challenges.

* * * *

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას. 2012 წლიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი და ქვეყვნისათვის უპრეცენდენტო ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის, რაც ამ მიმართულებებით მსხვილ სახელმწიფო ინვესტიციებში გამოიხატა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოფლის ტიპის ტერიტორია კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის განხორციელებით მოხდება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება და სოფლად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი გარდატეხა. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგების მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის, ძირითადი ვალდებულებაა. საქართველოს სოფლის ტიპის ტერიტორიების განვითარება მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად როგორებიცაა: სასურსათო უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, ეკონომიკური განვითარება, ცხოვრების მაღალი დონის შექმნა და სახელმწიფო უსაფრთხოება. სოფლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვის პრაქტიკის დანერგვას, კერძოდ ტყის რესურსების მდგრად მართვას, რომელიც „უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლისა და რესურსების უწყვეტ მიწოდებას და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას“. სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებასთან. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. “მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით”

სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. სექტორის განვითარება მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განსამტკიცებლად, ასევე რეგიონების განვითარებისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური პირობებისა და ზოგადი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. მხარდამჭერი პროექტების განხორციელების პარალელურად ეტაპობრივად გაუმჯობესდა დარგის მარეგულირებელი ჩარჩო. საანგარიშო პერიოდში, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ევროკავშირის კანონთა კრებულთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებისა და ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე თავისუფლად გასვლის უზრუნველსაყოფად. შედეგად, 2015 წლიდან დღემდე, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში ქართული კანონმდებლობა დაახლოვდა ევროკავშირის 180-ზე მეტ სამართლებრივ აქტთან, რამაც განაპირობა ადგილობრივი პროდუქციის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა და ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში. 2022 წლის ბოლოსთვის, ევროპის ბაზარი გახსნილი იყო თაფლისა და თაფლის პროდუქტებისთვის, ლოკოკინებისთვის, შავი ზღვის თევზისა და თევზის პროდუქტებისთვის, ასევე დამუშავებული ტყავისა და მატყლის, ცხოველის საკვებისთვის. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პოზიტიური შედეგებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. მცირემიწიანობა, მცირემოსავლიანობა, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მეთოდებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, განათლებისა და ცოდნის დაბალი დონე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სირთულეები – ეს ყოველივე დღესაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას. ბუნებრივია, რეფორმების 10 წელი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ სრულად აღმოფხვრილიყო ის გამოწვევები, რაც ქვეყნის წინაშე 2012 წლისათვის იდგა.

2012 წლის ბოლოდან სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთერთ პრიორიტეტად გამოცხადდა და შემდგომი 10 წლის განმავლობაში ინტენსიურად ხდებოდა შესაბამისი საბიუჯეტო რესურსების მობილიზება, სექტორის ინსტიტუციური განვითარება, ფერმერთა მხარდაჭერისა და გაძლიერების მექანიზმების შექმნა და განვითარება, ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება და არსებულის მიახლოება ევროკავშირის კანონთა კრებულთან.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების წარმოების საშუალოდ 90%12 ოჯახურ მეურნეობებში იწარმოება. ანალოგიური სურათია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში, კერძოდ ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოების გარდა, მეცხოველეობის პროდუქტების (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის ხორცი, თაფლი) 85-95% ოჯახური მეურნეობების მიერ იწარმოება.13 2012-2022 წლებში დარგში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არასტაბილური ტენდენციით ხასიათდებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა – 2012 წელს – 16.1 მლნ აშშ დოლარი, 2015 წელს – 18.5 მლნ აშშ დოლარი და 2017 წელს – 13.9 მლნ აშშ დოლარი.14 თუმცა 2018 წლიდან ინვესტიციების მოცულობა შემცირდა, ხოლო 2018 და 2020 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მაჩვენებელიც კი იქნა დაფიქსირებული.15 რაც შეეხება სახელმწიფო ინვესტიციებს, 2015 წლიდან 2023 წლამდე პერიოდში, სახელმწიფოს მიერ დარგში განხორციელებული ინვესტიციები, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით, 3.6 მლრდ. ლარს აჭარბებს. ამან ნაწილობრივ ხელი შეუწყო ქართული აგრო-სასურსათო პროდუქციის გამოშვების ზრდას, რომელიც 2022 წლის მონაცემებით 6.9 მილიარდ ლარს შეადგენს და თითქმის გაორმაგებულია 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.16 დაბალი მოსავლიანობა კვლავ რჩება სექტორის მთავარ გამოწვევად, რაც ნაწილობრივ მცირემიწიანობით, ხოლო ნაწილობრივ თანამედროვე წარმოების მეთოდების შესახებ ცოდნისა და შესაბამის საწარმოო ტექნოლოგიებთან შეზღუდული წვდომით არის განპირობებული. თუმცა, მიუხედავად გამოწვევებისა პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება მოსავლიანობის კოეფიციენტებში. კერძოდ, 2014-იდან 2022 წლამდე პერიოდში ხორბლის საჰექტრო მოსავლიანობა 1.9 ტონა/ჰა-დან 2.9 ტონა/ჰა-მდე,17 ხოლო ბოსტნეულის მოსავლიანობა ჰექტარზე 6.6 ტონიდან 10.9 ტონამდეა გაზრდილი. თუმცა, მიუხედავად ზრდისა საჰექტრო მოსავლიანობის კოეფიციენტები კვლავ დაბალია ევროკავშირისა და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. გაზრდილია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტიც. კერძოდ, საქართველოდან ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის ღირებულება 2022 წლის მონაცემებით 1 252 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 145%-თ აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.18 თუმცა, მიუხედავად ექსპორტის მოცულობის ზრდისა, უნდა აღინიშნოს რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ტემპი არასტაბილური იყო და მერყეობით ხასიათდებოდა, რაც საგარეო და შიდა შოკების მიმართ დარგის მოწყვლადობაზე მიგვანიშნებს. მეორეს მხრივ, ექსპორტის ზრდის ტემპის მერყეობა შესაძლოა მიუთითებდეს აგროსასურსათო პროდუქციის კონკურენტუნარიანობასა და უწყვეტი და სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე. საგარეო ვაჭრობა აგროსასურსათო სექტორში 2023/2022 წლების შედარება აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი 9%-ით გაიზარდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აგროსასურსათო სექტორში 4%-ით შემცირდა .

2023 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 1 437 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია რაც 15%-ით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს. – ძირითადად ექსპორტირებულია[1]: ღვინო (18%), სპირტიანი სასმელები (14%), მინერალური და მტკნარი წყლები (9%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (8%), კაკლოვანი ხილი (ძირითადად თხილი) (6%), ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (6%), სიგარეტი (5%), ცოცხალი ცხვრები და თხები (3%) და სხვა.

2023 წელს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი 106 ქვეყანაში განხორციელდა.

ექსპორტის ღირებულების განაწილება ძირითადი პროდუქტების მიხედვით, 2023 ყურძნის ნატურალური ღვინოები 18%; სპირტიანი სასმელები 14%; მინერალური და მტკნარი წყლები 9%; უალკოჰოლო გაზიანი სასმელები 8%; კაკლოვანი ხილი 6%; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 6%; სიგარეტი 5%; ცოცხალი ცხვრები და თხები 3%; სხვა 31%.

საქართველოს აგრარული სექტორი სხვა სექტორებთან შედარებით მრავალი პრივილეგიით სარგებლობს. საგადასახადო თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დაბეგვრადი კომპონენტია საქართველოს საგადასახადო კოდექსში. სოფლის მეურნეობაში საგადასახადო შეღავათები ეხება როგორც საშემოსავლო, ასევე მოგების გადასახადსა და დღგ-ს. ძირითადად, საგადასახადო შეღავათები ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში არიან ჩართულები, ასევე გარკვეული შეღავათები არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია აერთიანებს 3 მიზანსა და 16 ამოცანას. მიზანი 1 – კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები რეგიონულ დონეზე; მიზანი 2 – ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია; მიზანი 3 – სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.

## დასკვნა

სტატიის მიზანია შეაჯამოს 2012-2022 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე მოვლენები, აჩვენოს დარგის განვითარების დინამიკა, როგორც სამართლებრივ, ისე ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ჭრილში. რომ 2012-2022 წლებში აგრარული სექტორი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა და ეს რეალურად აისახა ქმედით რეფორმებსა და მხარდამჭერ პროგრამებში. განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური რეფორმები, კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის კანონთა კრებულს, სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა დაიხვეწა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, მნიშვნელოვნად გაზრდილია სექტორული სამინისტროს დაფინანსება, რადიკალურადაა გაზრდილი აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ჯამური ღირებულება და სხვ. ამის პარალელურად, სექტორისთვის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ფერმერთა/სასოფლო მეურნეობათა მცირემიწიანობა, ნათესი ფართობების მცირე მოსავლიანობა, ტექნოლოგიური განვითარების დაბალი დონე, განათლებული და კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა, რაც ამცირებს ქართული აგროსასურსათო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. ამასთან, ევროკავშირის კანონთა კრებულთან საკანონმდებლო დაახლოების ტემპები არ ემთხვევა მისი იმპლემენტაციისათვის საჭირო ფინანსურ თუ ადამიანური რესურსებს და მნიშვნელოვანი გგამოწვევებია კანონმდებლობის აღსრულების მხრივ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/agraruli/publikacia/soflis-meurneoba.pdf საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და ბოლო ათწლეულის განვითარების ტენდენციები (საქართველოს პარლამენტი)

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2023 წელი

3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია